



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავითაშვილი გულბათ ივანეს ძე

დავითაშვილი გულბათ ივანეს ძე (29. VII. 1902, ქუთაისი, - 3. II. 1982, თბილისი), ბალეტის სოლისტი, ბალეტმამირი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1960). 1919-22 სწავლობდა თბილ. კონსერვატორიაში. საბალეტო ხელოვნებას ეუფლებოდა ბერლინში (1922-24 ე. ნიკოლაევთან), პარიზში (1926-31 თ. პრეობრაჟენსკაიასთან). უცხოეთში ყოფნისას მოცეკვავედ და ბალეტმამირად მუშაობდა მონტე-კარლოს, „გრანდ ოპერისა“ და ვენ. სხვადასხვა თეატრებსა და დასებში. როლები: მაკნატუნა (პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“), მოცეკვავე (მ. რაველის „ბოლერო“, ნ. რიმსკი-კორსაკოვის „ესპანური კაპრიზი“) და სხვ. 1954-55 ტაჯიკეთის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. ბალეტმამირი იყო. იქვე დადგა ყარა ყარაევის „შვიდი მზეთუნახავი“ (1954); ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის მცირე თეატრში - მ. რაველის „ბოლერო“, „ვალსი“, „დაფნისი და ქლოე“ (1959); თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში - ი. მოროზოვის „ეჭიმი აიბოლიტი“ (1949), პ. სოგეს „მოხეტიალე კომედიანტები“ (1968), ყარა ყარაევის „ჭექაქუხილის ბილიკით“ (1972) და სხვ. ცეკვები დადგა აგრეთვე კინოფილმებში „მამლუქი“, „ბაშიაჩუკი“, „ფიროსმანი“.

ა. ჩხეიძე
